

შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-01/59

თბილისი

“ 15 “ ივლისი 2016 წ.

2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების, წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხისა და გამოცდების ვადების განსაზღვრის შესახებ:

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის, გთსუ-ის წესდების მე-5 მუხლის, აკადემიური საბჭოს 2012 წლის 23 აპრილის №2 ოქმით ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის, სამართლის ფაკულტეტის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტების დეკანების წარდგინებების საფუძველზე

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

§ 1

1. გამოცხადდეს მიღება შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტში 2016-2017 სასწავლო წელს მიღება შემდეგ სამაგისტრო პროგრამებზე:

- საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი;
- საბანკო საქმე;
- რეკრეაციული ტურიზმი;
- ბიზნესის ადმინისტრირების ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა (IMBA)
- კერძო/ბიზნეს სამართალი;
- სისხლის სამართალი;
- მასობრივი კომუნიკაცია.

2. განისაზღვროს შპს გთსუ-ის მიმღებ კომისიაში მაგისტრატურაში წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:

- ✓ პირადი განცხადება რექტორის სახელზე (სამაგისტრო პროგრამის მითითებით);
- ✓ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან/და პასპორტის ასლი;
- ✓ ოთხი ფერადი (3x4) ფოტოსურათი და ელ. ვერსია CD-ზე;
- ✓ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომისა და დანართის დამოწმებული ასლი (2016 წლის კურსდამთავრებულთათვის ცნობა ხარისხის მინიჭების შესახებ, ნიშნების ფურცელი სავადებულოა სამართლის ფაკულტეტისთვის);
- ✓ წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობის ასლი;
- ✓ ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ✓ უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ✓ უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3. საბუთების მიღება და ჩარიცხვა ფაკულტეტების შესაბამისად:

- ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე საბუთები მიიღება 2016 წლის 5 სექტემბრიდან 14 სექტემბრის ჩათვლით (შაბათ-კვირის გარდა), ჩარიცხვა - 22.09.2016 წ.
- სამართლის ფაკულტეტზე საბუთები მიიღება 2016 წლის 31 აგვისტოდან 7 სექტემბრის ჩათვლით (შაბათ-კვირის გარდა) ჩარიცხვა - 22.09.2016 წ.
- სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე საბუთები მიიღება 2016 წლის 5 სექტემბრიდან 23 სექტემბრის ჩათვლით (შაბათ-კვირის გარდა), ჩარიცხვა - 03.10.2016 წ.

4. მისაღები გამოცდები ჩატარდეს სამაგისტრო პროგრამების შესაბამისად:

- **სპეციალობა: საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი**

საგანი: ბიზნესის საფუძვლები, მიკრო და მაკრო ეკონომიკა

შერეული ფორმა (წერა და ზეპირი)	-	15.09.2016 წ.	10:00 ს.
უცხო ენა (ტესტირება, გასაუბრება)	-	16.09.2016 წ.	10:00 სთ.

- **სპეციალობა: საბანკო საქმე**

საგანი: საბანკო საქმის საფუძვლები (წერა, ზეპირი)	-	15.09.2016 წ.	13:00 სთ.
უცხო ენა (ტესტირება, გასაუბრება)	-	16.09.2016 წ.	10:00 სთ.

- **სპეციალობა: რეკრუციული ტურიზმი**

საგანი: ტურიზმის საფუძვლები

შერეული ფორმა (წერა და ზეპირი)	-	15.09.2016 წ.	15:00 სთ.
უცხო ენა (ტესტირება, გასაუბრება)	-	16.09.2016 წ.	10:00 სთ.

- **სპეციალობა: საერთაშორისო ბიზნესის ადმინისტრირება (საქართველო - დიდი ბრიტანეთი)**

საგანი: ბიზნესის საფუძვლები, მიკრო და მაკრო ეკონომიკა

შერეული ფორმა (წერა და ზეპირი)	-	15.09.2016 წ.	17:00 სთ.
უცხო ენა (ტესტირება, გასაუბრება)	-	16.09.2016 წ.	12:00 სთ.

- **სპეციალობა: კერძო სამართალი**

შერეული ფორმით (წერა და ზეპირი)	-	08.09.2016 წ.	13:00 სთ.
უცხო ენა (ტესტირება/გასაუბრება)	-	09.09.2016 წ.	13:00 სთ.

- **სპეციალობა: სისხლის სამართალი**

შერეული ფორმით (წერა და ზეპირი)	-	08.09.2016 წ.	10:00 სთ.
უცხო ენა (ტესტირება/გასაუბრება)	-	09.09.2016 წ.	10:00 სთ.

• *სპეციალობა: მასობრივი კომუნიკაცია*

საგანი: სპეციალობა (მასობრივი კომუნიკაცია)

შერეული (წერა და ზეპირი) - 26.09.2016 წ. 13.00 სთ.

უცხო ენა (ტესტირება/გასაუბრება) - 27.09.2016 წ. 13:00 სთ.

§ 2

1. შპს გოსუ-ში აბიტურიენტთა ბაკალავრიატში ჩარიცხვის მიზნით გამოცხადდეს რეგისტრაცია მ/წ 31 აგვისტოდან 9 სექტემბრის ჩათვლით (შაბათ-კვირის გარდა);
2. განისაზღვროს შპს გოსუ-ის ბაკალავრიატში წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:
 - ✓ პირადი განცხადება რექტორის სახელზე (ფაკულტეტის მითითებით);
 - ✓ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან/და პასპორტის ასლი;
 - ✓ ოთხი ფერადი (3x4) ფოტოსურათი და ელ. ვერსია CD-ზე;
 - ✓ ატესტატი (დედანი);
 - ✓ წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობის ასლი;
 - ✓ სწავლის ქირის $\frac{1}{4}$ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (ბანკი რესპუბლიკა).
3. საბუთების მიღება დაევალოს შპს გოსუ-ის შესაბამის ფაკულტეტებს.
5. ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას.
6. დაევალოს კანცელარიას ბრძანება გადასცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

რექტორი

გიორგი მათიაშვილი